



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 284
01/02/2018

ქალაქი ბათუმი

284-05-4-201802011129



სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე მოწოდებული სამუშაოების კონტროლის განხორციელებისათვის ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

2018 წელს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი სასმელი წყლის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე NAT180000109, აღნიშნულზე სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით - ხელშეკრულების შესრულებაზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლი, შესრულებული მომსახურების ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად მიღება-ჩაბარება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ტექნიკურ ზედამხედველობა უნდა განახორციელოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ/ინსპექტირების ჯგუფმა ან/და მერიის თანამშრომელმა. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულებასთან ერთად, ხოლო ამავე ბრძანების 33-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად ხელშეკრულება შემსყიდველმა ორგანიზაციამ სისტემაში უნდა ატვირთოს მისი დადებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მირიან კვირიტიძის 2018 წლის 30 იანვრის №269-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე მოწოდებული სამუშაოების კონტროლის განხორციელების, ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ბ) თამაზ მურადიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;

გ) ზეინაზ კაკაბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) რუსლან დიასამიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე - ჯგუფის წევრი;

ე) ჯემალ შავლიძე - შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორი - ჯგუფის წევრი.

ვ) თამაზ ახვლედიანი - შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.

2. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა